”ტფილისელებმა გვიჩვენეს თამაშის მაღალი კლასი”

მოსკოვი, 29 აგვისტო. (ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან). საფინალო მატჩმა, რომელიც გუშინ გაიმართა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდს ”ლოკომოტივსა” და ტფილისის ფეხბურთელთა გუნდს ”დინამოს” შორის, დიდძალი ხალხი მიიზიდა. მოსკოვის ”დინამოს” ვეებერთელა სტადიონი გაიჭედა ხალხით. ტფილისელები თამაშობდნენ ენერგიულად და დიდი ოსტატობით, თუმცა ბოლოს ”ლოკომოტივი” მაინც გამარჯვებული გამოვიდა. მატჩი, როგორც ცნობილია სწარმოებდა საბჭოთა კავშირის ”თასის” მისაღებად.

მოსკოვის ფიზკულტურელთა წრეებში აღნიშნავენ, რომ ტფილისელმა ფეხბურთელებმა გვიჩვენეს თამაშის მაღალი კლასი და დამსახურებულად მოუგეს შეჯიბრებაში მოსკოვის ”სპარტაკს” და ნოგინსკის გუნდს ”კრასნოე ზნამიას”. მოსკოველი ფეხბურთელები ერთსულოვნად აღნიშნავენ ტფილისის ფეხბურთელების ზრდას.

გუშინ ტფილისის ფეხბურთელთა ჯგუფი ეწვია ”კომსომოლსკაია პრავდას” რედაქციას, სადაც მათ ჩატარებული მატჩებზე შთაბეჭდილებათა შესახებ ესაუბრნენ რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები.

კომუნისტი 30.08.36